ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის ოქმი № 7

1 თებერვალი , 2018 წელი
15 :00 სთ

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას უძღვებოდა: სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

გულია გოცირიძე

ანა ლაშხი

თარაშ შურღაია

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა, მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.კომისიის წევრებმა თინათინ ნიბლოშვილთან ერთად განიხილეს შემოსული განცხადებების საფუძველზე მომზადებული ინიციატივები. კომისიის გადაწყვეტილებით, ხსენებული საკითხები უახლოეს დღეებში დარეგისტრირდება საკრებულოს წინაშე ინიციატივებად და

გამოქვეყნდება კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო განხილვის უზრუნველსაყოფად.

დღის წესრიგი:

1. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ჯამბულ წურწუმიას ქუჩასთან მდებარე ორი უსახელო შესახვევისთვის ჯამბულ წურწუმიას I და II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

2. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, მარია პერინის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის მარია პერინის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

3. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, მიხაკო წერეთლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხისთვის მიხაკო წერეთლის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

4. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო გასასვლელისთვის ლეო კვაჭაძის V გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ

5. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის ლეო კვაჭაძის II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

6. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ელენე გოკიელის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის ელენე გოკიელის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

7. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ელვერ კუპატაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო გასასვლელისთვის ელვერ კუპატაძის II გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ

8. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ნიკოლოზ ტიხონოვის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ნატუსების სახელის მინიჭების შესახებ

9. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ზაჰესის დასახლებაში, გრიგოლ ხანძთელის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის გრიგოლ ხანძთელის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

10. ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული I ჩიხისთვის ტყის სახელის მინიჭების შესახებ

11. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, ალიოშა ჯაფარიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის ქვიშიანის სახელის მინიჭების შესახებ

12. ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, იოსებ ჟორდანიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ზამთრიანის სახელის მინიჭების შესახებ.

სხდომაზე კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარესთან ერთად დღის წესრიგით გათვალისწინებული 12 საკითხი განიხილეს და წარმოდგენილ სახელდებებთან დაკავშირებით იმსჯელეს.

თინათინ ნიბლოშვილმა თითოეულ საკითხთან დაკავშირებით ამომწურავად ისაუბრა. როგორც მან განმარტა, იქ სადაც ძირითადი ქუჩა უკვე სახელდებულია და ქუჩასთან ტერიტორიის განაშენიანების შედეგად განვითარდა შესახვევი, გასასვლელი ან ჩიხი, განვითარებულ უსახელო ტერიტორიას კომისიის ინიციატივაით ენიჭება ძირითადი ქუჩის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ სახელდების პროცესში ტოპონიმების შენარჩუნება-გამოვლენასა და აღდგენის მნიშვნელობაზე კიდევ ერთხელ ისაუბრა და იმ

სახელდებებთან დაკავშირებით იმსჯელა, სადაც კომისიის სამდივნოს ინიციატივით და კომისიის წევრების გადაწყვეტილებით ტოპონიმური სახელწოდებები უნდა მიენიჭოს.

ცნობისთვის, ნატუსები ნასოფლარის ძველი სახელწოდებაა, მდებარეობს გლდანის რაიონში და დღეის მდგომარეობით ტერიტორია ტყით არის დაფარული.

რაც შეეხება ქვიშიანს, ლილოს მთის კალთებზე დასახლებული ოთხი პუნქტიდან ერთ-ერთის, კერძოდ ლენინისის ძველი სახელწოდებაა. ხოლო ზამთრიანი, ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფიული აღწერის" მიხედვით მდებარეობს დღევანდელი ივერთუბნის ტერიტორიაზე და ასევე ისტორიულ ტოპონიმს წარმოადგენს.

კომისიის წევრებმა თინათინ ნიბლოშვილთან ერთად ჩუღურეთის რაიონში ერთ-ერთი უსახელო ქუჩისთვის ტყის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით მოსაზრებები გამოთქვეს. სხდომის თავმჯდომარის განმარტებით, სახელდება ხდება თემატურად, რადგან უსახელო ტერიტორია მდებარეობს ტყის საფარის მოპირდაპირე მხარეს.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილი მასალები დადებითად გადაწყვიტეს, მხარი დაუჭირეს საკითხების საკრებულოს წინაშე ინიციატივებად დარეგისტრირებას და საჯარო განხილვის მიზნით საკრებულოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე თ.ნიბლოშვილი თინათინ ნიბლოშვილი

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

სხდომა

1 თებერვალი, 2018 წელი

N	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1.	თინათინ ნიბლოშვილი	
2.	მარიკა დარჩია	
3.	გიორგი ბირბიჩაძე	
4.	ანა ლაშხი	
5.	გულია გოცირიძე	
6.	თარაშ შურღაია	

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი